# სახალხო გაზეთი

№ 350 ოთხშაბათი, 13 ივლისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 350

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორავას"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7—კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთი" ½ წლით (1 ივლისიდან წლის ბოლომდის) ღირს 4 მ. 80 კ.

## დ. ყვირილაში

„ხორავას" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

## „სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი

## „კოლხიდა"

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.

ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ.

საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთი შაური.

ადრესის გამოცვლა: ქუთაისსა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდინ, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკვებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—90)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

**დავითაშვილი რ. ს.**—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., **დროებით წასულია.**

**მზარეულოვი მ. ი.**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე შ. ა.**—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

**თრემბოვსკი ნ. ს.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ხოზილევსკი ვ. ვ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**სულაგოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს. **დროებით წასულია.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. **დროებით წასულია.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცია; ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შემთხვევათ. სათასნარიო. (წ.—1089—509)

## სურამში

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ჯაბაშვილისა.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე

**ექიმი ი. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 6—96

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**

სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარეშე ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

**ე. ს. გამყრელიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

**მ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ვ. ს. სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი** — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. ვ. ხოზილევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606"-ით.** (წ.—1090—107)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—59)

აბასთუმანში

კბილის ექიმი

## ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერმარქაროვისა. (თ.—1333—23)


## ტფილისი, 13 ივლისი.

**მაჰმედ-ალი სპარსეთში.** ახლო მომავალში დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. რანაირიც უნდა ყოფილიყო იმედები ძველი შაჰისა, არ შეიძლება მაინც არა სცოდნოდა, რომ სპარსეთის ეხლანდელი მთავრობა უბრძოლველად არ დაუთმობდა მოპოვებულ თავისუფლებას. სხვათა შორის ძველ შაჰს ალბად იმის იმედიცა ჰქონდა, რომ თვით ევროპის სახელმწიფონი სხვა და სხვა საკითხებში გაერთნებოდა და თვით სპარსეთშიაც ვერას გზით ამოირჩიეს შეთანხმებული მთავრობა. მაგრამ, როგორც გაზეთებიდან და დეპეშებიდანა სჩანს, მთავრობა, საფრთხის პირველ დანახვისთანავე, შეთანხმების გზას დაადგა. მეტად ბნელსა და უსამართლო დროს აგონებს მაჰმედ-ალი, და ამიტომ ამ უკანასკნელის მოწოდებანი მხოლოდ ზოგიერთ ველურ პრაკინციებზე თუ იმოქმედებს. რახან შაჰმა სპარსეთში შესვლა გადასწყვიტა, ალბად ადგილობრივ მოეძებნებოდა თანამგრძნობნი და მომხრენი, მაგრამ რამდენიმე ათას მოუსვენარ მხედრისა და გაყაჩაღებულ ელემენტთა თანაგრძნობა ყოვლად შეუძლებელია ჩაითვალოს იმ რეალურ ძალად, რომელზედაც უნდა ემყარებოდეს ყოველი სახელმწიფო მოღვაწე და მით უფრო დაკარგული ტახტის მაძიებელი. ესეც რომ არ იყოს, სპარსელები მოიქანცნენ ბრძოლით და გადაყენებულ შაჰის ახალ ავანტიურას არც ისე ადვილად გაჰყვებიან, როგორც მას ჰგონია.

ძველი შაჰი ძალიან საშიშს გზას დაადგა. მისი გამარჯვება ძალიან საეჭვოა, დამარცხება კი კარგს არაფერს უქადის. უპირველესად ყოვლისა, მას მოაკლდება სახელმწიფო პენსია. ამის გარდა, რუსეთი, ხელშეკრულობის ძალით, მხოლოდ იმ შემთხვევაში კისრულობდა შაჰის პირად უზრუნველყოფას, თუ იგი ბედს დამორჩილდებოდა და რუსეთის საზღვრებს არ გასცილდებოდა. შაჰმა რომ ავანტიურა წააგოს, მისი პირადი უზრუნველყოფა დიდს განსაცდელში ჩავარდება, და რუსეთიც ვალდებული არ იქნება მას მხარი დაუჭიროს. ჰქონდა თუ არა კარგად გათვალისწინებული ეს პერსპექტივა შაჰს, როდესაც სპარსეთში მიდიოდა, არ ვიცით, მაგრამ იგი რომ მოსალოდნელია, ეს ცხადზე უცხადესია...

## ნარკვევი

(ჟურნალ გაზეთებიდან)

როგორც იყო მინისტრთა, საბჭომ დაამტკიცა საყოველთაო სამხედრო გადასახადი. დაადგინეს ოთხი წლის განმავლობაში ახდევინონ წლიურად 6 მანეთი განურჩევლად წოდებისა და ეკონომიური მდგომარეობისა, იმ პირთ, რომელთაც ეძლევათ მეორე და პირველი ხარისხის შეღავათი (ლგოტა), იმათ, ვინც ირიცხება სათადარიგო ჯარში და იმათაც ვინც მოერიდება და გადაურჩება სამსახურს. სადაც არ არის შეცნოლებული სამხედრო სამსახური, იქ კი მიემატება სხვა სახელმწიფო გადასახადებს. ამ გადასახადიდან უნდა შემოვიდეს 15 მილიონი მანეთი. ამის შესახებ „უტრო როსიი"-ს 156 №-ში დასტამბულია ვიღაც „ფინანსისტის" წერილი:

„..როდესაც ახლოდან დავაკვირდებით ამ პროექტს, დავრწმუნდებით, რომ ამ გადასახადის შემოღება არ შეიძლება გავამართლოთ, თუნდაც ჩვენი ფინანსები უკიდურეს მდგომარეობაში იყოს... ...თავის სამშობლოს დაცვა ყველას არ „ევალება": სხვა და სხვა საოჯახო ან სარწმუნოებრივ პირობებს ანგარიშს უწევენ და ამავე დროს „საყოველთაო" გადასახადი ხმის ამოუღებლად უნდა იკისრონ... სამხედრო სამსახური ჰუმანისტებმა შეთხზეს, საყოველთაო გადასახადი კი ნამდვილმა ბაზიბუზუკებმა.

შემდეგ ავტორი ითვალისწინებს მთავრობის დახმარებას, რომელსაც მთავრობა აღმოუჩენს უსახსრობისა გამო ციმბირში მიმავალ „ხოდოკებს" და ამბობს:

...მე ვერ გამიგია როგორ შეუძლია ერთ და იმავ დროს მთავრობამ აღიაროს მცხოვრებთა უსახსრობა, ხელი შეუწყოს მის გადასახლებას თავისუფალ მიწებზე, ხელი მოუმართოს მათ ლუკმა პურის ძებნაში და ამავე დროს ამ უფლების მინიჭებისათვის მასვე ექვსს მანეთს ახდევინებს?!... ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ეს ფინანსიური უწყებაც ისეთ აზიელობას იჩენს, რომლისაგან რეიტერნი და ბუნგეც კი საფლავებში აღზორგდებიანო".

* *

სპარსეთის ამბები სპარსელებზე ნაკლებ არც სხვა სახელმწიფოთ აღელვებს. რუსეთში გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს მაჰმედ-ალი-შაჰის ყოველ ნაბიჯს. ამის თაობაზე გაზ. „რეჩი" სწერს და საუკეთესოდ სთვლის რუსეთისათვის სრული ნეიტრალიტეტი დაიცვას და სპარსელებს დაცადოს შინაური საქმეების მოწესრიგება. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ხშირად როგორც ძლიერი სახელმწიფოსი, აგრეთვე დასუსტებული და აწეწილ სახელმწიფოს მეზობლობაც ძლიერ სახიფათოა. „ნოვოე ვრემია"-ს, ეტყობა, ჯერ სული არა სცემია რუსეთის დიპლომატიის მიდრეკილებისა და ჩვეულებრივად ორჭოფობს. ყოველს მის მტკიცებას განუყრელი „მაგრამ"-იც თან ახლავს:

.....„რუსეთს არ ესაჭიროება სპარსეთის შინაურ საქმეებში ჩარევა, **მაგრამ** მას არ შეუძლიან არ ჩაერიოს, თუ ყოველ ნაბიჯზე მისს ინტერესებს დაარღვევენ და ამნაზღაურებელი კი არავინ იქნება..... ამ ხანად ბრბომ აწამა ურმიაში რუსეთის ქვეშევრდომი, ავაზაკებმა შახსევანთა ჯგუფიდან მოჰკლეს რუსის ოფიცერი..., ჩვენ ძველებურად წინააღმდეგნი ვართ სპარსეთის საქმეებში ჩარევისა, **მაგრამ** ამავე დროს დიდ დანაშაულად მიგვაჩნია ჩაურევლობა, რაც ჩვენი წმიდა უფლებების დავიწყება იქნებოდა... თუ სპარსეთში არ მოიპოვება ისეთი მთავრობა, რომელმაც უნდა დაიფაროს ჩვენი ქვეშევრდომნი, ვალდებულნი ვართ მმართველობა ჩვენს თავზე მივიღოთ და შეუბრალებელის სიმტკიცით ჩვენი უფლებანი დავიცვათ. რუსეთის დიპლომატია ყოველთვის ერიდებოდა სპარსეთის საქმეებში ჩარევას, რასაც ჩვენც ვეთანხმებით, **მაგრამ**"....

ოღონდ სურვილი იყოს და მიზეზი ყოველთვის მოიძებნება...

## ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **სახელმწიფო სათათბიროს წევრნი** სალათელიანი და მენშიკოვი კავკასიაში მოემგზავრებიან ტყეების დასათვალიერებლადა და სატყეო მეურნეობის შესასწავლად.

◆ **ფილოქსერა.** საფილოქსერო პარტიას კახეთში, ალაზნის მარცხენა ნაპირას, ფილოქსერის ახალი ბუდე აღმოუჩენია. ფილოქსერა აღმოჩენილა ლელიანისა და კარტუბანის სასოფლო საზოგადოების სოფლებში: რუსის წილსა, დატელსა და შახალ-გორაში, სადაც იმერლები მოსახლეობენ.

◆ **ქართულ სამეურნეო საზოგადოების წევრნი,** რომელნიც 9 ივლისს ს. ავლევში წავიდნენ თავ. კ. მ. ამირაჯიბის მეურნეობისა და მის მიერ გახსნილ პრაქტიკულ სასწავლებლის დასათვალიერებლად, უკვე დაბრუნდნენ ტფილისში. საზოგადოების წევრებზე ყველა იქ ნახულს კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია.

◆ **ხორცის ნიხრის დაკლებას არა ეშველა-რა,** თუმცა ტფილისში დიდ ძალი საქონელი მორეკეს და დასაკლავ საქონლის ფასმა წინანდელთან შედარებით ძალიან დაიწია. ქალაქის სამეურნეო კომისიამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და ამ ორის კვირის წინად დაადგინა, ხორცის ნიხრს დაუკლოს, მაგრამ საუბედუროდ ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა შეუძლებელი გახდა, რადგანაც საჭიროა დასტური ქალაქის საბჭოსი, რომლის სხდომებიც სექტემბრამდე შეწყვეტილია. ქალაქის გამგეობამ საჭირო ნებართვის აღება საბჭოსაგან ვერ მოასწრო, რადგანაც ორი უკანასკნელი კრება საბჭოსი ხმოსანთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, არ მოხდა, ამ რიგად ქალაქის მცხოვრებნი იძულებულნი არიან დღეში რამდენიმე ასი მანეთი ზედმეტად იხადონ ყასბების სასარგებლოდ.

◆ **დიდუბის ანტისანიტარული მდგომარეობა.** გუშინ, 12 ივლისს, დიდუბე დაათვალიერა სასანიტარო კომისიამ, რომელშიაც იყვნენ ექიმი ვ. ა. მირაქოვი, ბოქაული ჯიჯეიშვილი, ბაზრის მეთვალყურე ე. ლომიძე, სასანიტარო ზედამხედველი გ. ხახანოვი და სხვანი. კომისიამ არუთინ აკოფოვის დუქანი იმდენად უსუფთაო მდგომარეობაში აღმოაჩინა, რომ სულ დახურეს. უსუფთაობა აღმოჩნდა აგრეთვე სახლის ეზოებში. კომისიამ შერემეტიევის ქუჩის 12 სახლის პატრონს შეუდგინა ოქმი. მათი გვარები: ფილოპოვი (სახლი № 11), კოზლოვი (№ 13), ბიკოვი (№ 2), ბელოვი (№ 4), რეშეტოვი (№ 8), სამოდუროვი (№ 10), რაგაჩოვი (№ 12), კუვადინი (№ 16), კუზნეცოვი (№ 31), შიპუხანი (№ 36) და ლაშაური (№ 40).

◆ 9 მკათათვეს სოფ. ავლევს ესტუმრნენ ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრნი: თამჯდომარე თავ. დ. ი. ჩოლოყაშვილი, თავ. ს. რ. ვახვახიშვილი, ს. თ. ხუნდაძე, გ. ზ. ქურდიანი და მდივანი ე. კარბელაშვილი და საზოგადოების საპატიო წევრი ი. ი. წინამძღვარიშვილი. კომისიას უნდა დაეთვალიერებინა სოფ. ავლევში ადგილობრივ მემამულე თავ. კონსტანტინე მიხეილის ძის ამირაჯიბის მიერ გამართული სასწავლებელი. კომისიამ მეორე დღეს, 10 მკათათვეს, დაათვალიერა სკოლა, თავად კ. მ. ამირაჯიბის მამული და ფრიად ნასიამოვნები დარჩა მამულის საუცხოვო ორგანიზაციით და სკოლის მოწყობილებით. დაწვრილებით ცნობები ამის თაობაზე ამ დღეებში გვექნება.

◆ **ქართველ მსახიობთა დასი,** რომელიც კოტე მესხის მეთაურობით დასავლეთ საქართველოში მოგზაურობდა, უკვე დაბრუნდა ტფილისში. დასი სწვევია 12 სხვა და სხვა ქალაქს და სულ 26 წარმოდგენა გაუმართავს.

◆ **კავკასიის ნამესტნიკის მოადგილემ** ტფილისის მცხოვრებთ გაიკ მელიქ-ბაბახანიანცსა და გრიგოლ ნალბანდიანცს ნება დართო საზოგადო წესით ავტომობილების მიმოსვლა მოაწყონ შემდეგ ქალაქებს შუა: ტფილის-კავკავს, ტფილის-თელავსა და ტფილის-მანგლისს შუა.

◆ **ყუმბარების აღმოჩენა.** კუკიის წმ.-ნინოს სასაფლაოზე, შარშან დასაფლავებულ ელისაბედ ოსიფოვის საფლავზე გალავნის შემოსავლებლად საძირკვლის თხრის დროს, მუშები რამდენიმე ყუმბარას წააწყდნენ. ეს ამბავი წამსვე ადმინისტრაციას აცნობეს, რომელიც შეუდგა ამ საქმის ჩამდენის ვინაობის გამოკვლევას.

◆ **ცალკე წიგნად გამოვიდა** ანგარიში კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტის 1910 წლის მოქმედებისა.

◆ გუშინ ქალაქის სასანიტარო კომისიამ ექიმი მირაქოვის მეთაურობით, სასანიტარო მზრუნველის ემინოვისა და მე-10 უბნის უფროსის ზედამხედველის თანდასწრებით დაათვალიერა ვიგზლისა, მალაკნისა და მიხეილის ქუჩები. დაათვალიერეს საყასბოები, სანოვაგის დუქნები, ეზოები და ზოგიერთგან, უსუფთაობის გამო, ოქმი შეუყენა სახლისა და დუქნების პატრონებს.

◆ **ფრენა.** ქ. კრესტციდან იტყობინებიან, რომ სოფ. ზაიცევთან ჩამოვარდნილა მფრინავი უტოჩკინი. ხელ-ფეხი დამტვრეული აქვს. უბედურების მიზეზი იყო მოტორის გაფუჭება. უტოჩკინი ავტომობილით მოიყვანეს საავადმყოფოში. საღამოს 9 საათზე გონს მოვიდა.

◆ **ტფილისი.** პეტერბურგიდან დეპეშაა სააგენტო იტყობინება, რომ ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლად ნამყოფი აფაქიძე, სამხედრო უწყების თავმჯდომარეობის დროს უკანონობის ჩადენისათვის, მისცეს სამართალში ტფილისის სასამართლო პალატაში 362 და 411 სტ. ძალით.

◆ „ხუდადოვის ტყეში“ (ნაძალადევის ზემოდ) კვირა-უქმე დღეს საყვარლად ბევრი მდაბიო ხალხი იკრიბება. აქვე გამართულია დუქნები და სხვა და სხვა გასართობები, მაგალითად, „კარუსელი“, ნავები და სხვ. კვირას, 10 ივლისს, ნავებით ორი ქალიშვილი ქანაობდა. გარს მრავალი ახალგაზრდობაც ეხვია და აქეზებდნენ, ხან დაზდანდარობდნენ. როდესაც ერთმა ქალმა ძირს ჩამოსვლა მოინდომა, ახალგაზრდებმა ნავი გააქანეს. ქალი გადმოვარდა, ნავის ცხვირი თავში მოხვდა და დააშავა. გულ-წასული ქალი მიწაზე დაეცა, ხალხი კი ხარხარებდა. ბოლიციელებიც სხვებთან ერთად იცინოდნენ. ნავის პატრონმა კი ისევ ქალი გაამტყუნა და უშვერი სიტყვებით გამოლანძღა. საჭიროა ყურადღება მიაქცეს ასეთს უწესობას.

## წვრილი ამბები

◆ კავკასიის საბრეშუმო სადგურის ლაბორატორიის გამგე გ. ა. გორბაჩევი ყაზანში გაიგზავნა სრულიად რუსეთის მეფუტკრეთა კრებაზე დასასწრებლად.

◆ 11 ივლისს ტფილისში შეიპყრეს ალექსანდრე როგოჟნევი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

◆ 11 ივლისს ტფილისში შეიპყრეს 8 უპასპორტო.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე **შესდგება ტფილისის ხაქალაქო საქმეთა საკრებულოს კრება,** რომელზედაც შემდეგ საკითხებს განიხილავენ: 1) შენიშვნები ქ. ქ. ახალციხისა, დუშეთისა, თელავისა და გორის 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვათა გამო. 2) ტფილისის საბჭოს დადგენილება, ალექსანდრეს სახელობის კანისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის საავადმყოფოს ახალ შენობის აგების თაობაზე. 3) თელავის რწმუნებულთა კრების დადგენილება, რათა ქალაქის საგანგებო თანხიდან ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლის ასაგებად 440 მანეთი გადაიდოს და სხვა.

## სასწავლებლებში

◆ **თავ. ჩერქეზიშვილის სახელობის პირველ-დაწყებით სკოლის** შენობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებას დაავალა. სკოლა აშენებულ უნდა იქმნას ანდრეევის ქუჩაზე.

◆ **კალათების დაწვნის გაკვეთილები** მომავალ სამოსწავლო წლიდან შემოღებულ იქმნება ვერის პირველ დაწყებით საქალებო სასწავლებელში. ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ მასწავლებლად ქ-ნი ხითაროვისა მოიწვია.

## ქუთაისი.

◆ ერთი კვირა გადის, რაც ქუთაისში გრილა. ცა ხშირად მოღრუბლულია, საღამოობით ქუხილი ისმის, წვიმას აპირებს, მაგრამ არ-იქნა, არ გაავდარდა, ორიოდე წუთს წამოიწვიმებს და ისევ მზე გამოანათებს. ქუთაისის გარშემო მდებარე სოფლებში ერთი თვეა ცვარი არ ჩამოვარდნილა. გვალვების გამო ნაადრევი ყანები ჩააყვითლდა და სიმინდის ფქვილი ფუთი მანეთი გახდა, კიტრი თითო კაპეიკად იყიდება და ისიც მწარეა.

## პროვინცია.

**ს. ბზვანი** (ქუთაისის მაზრა). ამას წინად აქ ერთი უბედურება მოხდა: ხლეხის ხელაძის ცოლი, ქმის მოვლის გამო მოღლილი, საღამოს აკვანში ბავშვს ძუძუს აწოვებდა. მოღლილ ქალს აკვანზე ჩასძინებოდა; სახლში არავინ ყოფილა იმის მეტი; კაი ხნის შემდეგ, ქალს გამოღვიძებია, ბავშვი დაძინებული ჰგონებია და აკვანი ლოგინთან მიუდგამს. მეორე ჯილას უნახავთ და ბავშვი მკვდარი აღმოჩენილა. დედის ძილის დროს ბავშვი ძუძუთი დამღრჩვალიყო.

◆ **სოფ. ბეზაკლოში** (ბორჩალოს მაზრა), მეჰამულის ბაბა მაჰმედ-ოღლის მოსამსახურე ლიაზგი ოღლის შურის საგებად მოუკლავს ექვსი წლის ქალი მულკა-ჯანი და მძიმედ დაუჭრია ანხანუმ-საფარქიზი. მიზეზი ის ყოფილა, რომ დიასახლისი დამუქრებია, სამსახურიდან დაგითხოვ, თუ მუყაითად არ მოეკიდები საქმესო.

◆ **ალაზნის პირად** (თელავის მახლობლად), სამ შეიარაღებულ ბოროტმოქმედთ, გაუძარცვავთ სიკოყოჩიაშვილი. უკანასკნელს ეს საეროზო დარაჯებისათვის უცნობებია. დარაჯები მძარცველებს $2^1/_2$ ვერსის მანძილზე დასწევიან. ამტყდარა სროლა, რომლის დროსაც ერთი მძარცველი, ნიკოლოზ ბოსტალაშვილი, დაჭრილა. ის შეუპყრიათ. ორი მისი ამხანაგი კი გაქცეულა. ბოსტალაშვილი გამოტეხილა და ამხანაგების გვარი უთქვამს, რომელნიც აღმოჩნდნენ იოსებ ჩეკურიშვილი და გიგო სესიაშვილი. მათ კიდევ რამდენიმე ებრაელი ვაჭარიც გაუძარცვავთ.

◆ **სოფ. სვეჩინოში** (სიღ. მაზ). რუსეთიდგან გადმოსახლებულს მოშინკინს ტყეში შეუტყუებია თავისი მეზობლის ქალი იულიანა რადჩენკო და ძალით გაუუპატიურებია. მოშინკინი დაუპატიმრეს.

◆ **სოფ. ქობალოში** რევოლვერით თავი მოუკლავს ასათან ასან ოღლის ცოლს ირი ქიაზუმ-ქიზის. ეჭვობენ ქალი ვაუპატურების შემდეგ სხვებმა მოკლესო. გამოძიება სწარმოებს.

◆ **სოფ. ხიდისთავი** (გორის მაზრა). ხიდისთავს ესტუმრა ტფილისის გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი და ადგილობრივი ჭაობები დაათვალიერა. ეს დათვალიერება გამოუწვევია ხიდისთაველთა თხოვნას, რომ მთავრობას რაიმე ღონისძიება ეხმარა ჭაობების ამოსაშრობად. ეს ჭაობები რკინის გზის ლიანდაგის გაყვანის შემდეგ გაჩენილა. სარკინის გზო ბექობი წვიმის წყალს აგუბებს. რკინის გზის მთავარ სამმართველოს მიერ ბექობში გაყვანილი არხები კი უფრო მაღალი ყოფილა ვიდრე ჭაობები, წყალი არ ჩადის და გუბდება. ბ. ჩერნიავსკის მოუსმენია დროებით ვალდებულების თხოვნა, სახაზინო მიწების თაობაზე. უკანასკნელთ იმდენი სახაზინო მიწა უჭირავთ, რომ დამუშავებას ვერ ასდიან. გლეხებს უთხოვნიათ ეს მეტი მიწები ღარიბ მესაკუთრე გლეხებს გადაეცითო. ბ. ჩერნიავსკის დახმარება აღუთქვამს.

## დიდუბის სამოსახლო ადგილების ბედი.

ამ ჟამად დიდუბეში თავისუფალია **2** დესეტინა და **2,270** ოთხკუთხი სვჟენ სახაზინო ადგილი, რომლის იჯარით გაცემის წესი უკვე შემუშავებულია და ნამესტნიკის მოადგილის მიერ დამტკიცებული. იჯარით გაცემის წესი ასეთია: ეს ადგილები უნდა დაიყოს ნაჭრებად და 65 პირს, განსაკუთრებით რუსებს, უნდა მიეცეთ რადგანაც ნამესტნიკის საბჭოს აზრით, რუსების დასახლებას არა მარტო დამცველი, კულტურული მნიშვნელობაც ექნება. ადგილები უნდა მიეცეთ იჯარით სამუდამოდ. საკუთრებად შეძენის უფლება კი დასახლებულთ არ ექნებათ, რათა ადგილები არარუსთ არ მიჰყიდონ. რათა მოიჯარადრეებს საქალაქო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ექნეთ ნამესტნიკის სასაბჭოს საჭიროდ დაუნახავს მიეცეს ნამესტნიკს უფლება, რომლითაც დასახლებულთ ადგილები საკუთრებით სახით გადაეცემა, ხოლო არა რუსებზე ამ ადგილების გაყიდვა კი აეკრძალებათ. შესაფერ კანონპროექტის შედგენა, რომელიც დადასტურებულ უნდა იქმნას საკანონმდებლო წესით მიწად-მოქმედებისა და მიწად-მოწყობის კავკასის მთავარ გამგეს დაევალა.

## დრამატიული საზოგადოების კრებაზე.

11 ივლისი.

კრებამ მსჯელობა იქონია იმ წინადადებებზე, რომელიც თ-დმა პ. თუმანიშვილმა წარმოადგინა. გადასაწყვეტი სამი საკითხი იყო. პირველი: ვის უნდა ეკისრა ანტრეპრიზა მომავალ სეზონის განმავლობაში; მეორე—მომავალ არტისტებისა და ინსტრუქტორების კურსებზე გზავნა, ან ქართული სადრამო კურსების დაარსება და პრემიების დანიშვნა. კრებაში უმთავრესი ყურადღება პირველ საკითხს მიაქციეს.

ბ. ნ. ქართველიშვილმა თუმანიშვილის მოხსენების საწინააღმდეგოდ წაიკითხა ვრცელი მოხსენება, სადაც ამტკიცებდა, რომ ყოვლად შეუძლებელია ანტრეპრიზა დრამატიული საზოგადოების გარეშე ვისმე მიენდოსო. ქართველიშვილი ამტკიცებდა, ქართულ თეატრს ჯერ კიდევ არ შეუძლია უდეფიციტოდ აწარმოოს საქმე და ამიტომაც კერძო პირი ამ საქმეს არ იკისრებს; არტისტთა ამხანაგობაც ვერ იკისრებს ამ საქმეს, რადგანაც თანხა არა აქვს და, მაშასადამე, ისევ საზოგადოება უნდა გაუძღვესო. ამასთან ქართველიშვილი სცდილობდა თუმანიშვილის მოხსენებაში აზრთა წინააღმდეგობა აღენიშნა. საქმე ის არის, რომ თუმანიშვილი ამბობდა: ნიჭიერი არტისტები უნდა რუსეთში გაიგზავნონ დრამატიულ ხელოვნების შესასწავლადო. ქართველიშვილი დაეკითხა: თუ ქართული თეატრი მოსპობს მოქმედებას, ეს ნიჭიერი არტისტები სად უნდა აღმოვაჩინოთო. თვით არტისტი რუსეთში გაგზავნაც არ მიაჩნია ქართველიშვილს სასარგებლოდ. პრემიების პრინციპიალური მომხრე იყო, მაგრამ ეს მხოლოდ კეთილი განზრახვაა, რადგანაც ამასაც თანხა სჭირია და იგი კი ჩვენ არა გვაქვსო.

შ. მიქელაძეც შეუძლებლად სცნობდა, რომ ანტრეპრიზა დრამატიულ საზოგადოების ხელიდან სხვის ხელში გადავიდეს. დრამატიული საზოგადოების მთავარი და ერთად-ერთი მიზანი თეატრის, ხელოვნების აყვავებაა და სხვა ყველაფერი მხოლოდ საშუალებააო. ბ. მიქელაძეც და ბ. ი. ზურაბიშვილიც წინააღმდეგი არიან რუსეთის სადრამო კურსებზე არტისტების გაგზავნისა. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, ამ კურსებზე მხოლოდ დაამახინჯებენ ჩვენს არტისტებს და სხვა ვერაფერს შეჰმატებენო. არტისტისათვის უმთავრესი კარგი დიქციაა და კილო, რუსულ კურსებზე კი მათ რუსულ დიქციას შეაჩვევენ, თითქმის მიმიკაც კი რუსულ არტისტს სხვანაირი უნდა ჰქონდეს, ვიდრე ქართველს, და ამრიგად ჩვენს სცენას ისინი არათუ სარგებლობას, მხოლოდ ზიანს მოუტანენ, ეს დამარხვაა ქართულის ხელოვნებისაო. მიქელაძე და სხ. აღნიშნეს კიდევ, რომ თუ ჩვენი არტისტი უნარს გამოიჩენს რუსულ კურსებზე, მისთვის უფრო სარფა იქნება რუსულ სცენაზედვე დარჩეს, ასე რომ რუსული სადრამო კურსები სასარგებლო არ არისო.

პ. თუმანიშვილი და ს. გაბუნია, კი არ ეთანხმებიან ასეთ მოსაზრებას, რადგანაც ამ კურსებზე დიქციის გარდა ბევრ სხვა რასმესაც ასწავლიან, როგორც, მაგ., პლასტიკას, ხელოვნების ისტორიას, ანვითარებენ გემოვნებას და სხ. მასთან აღნიშნეს, რომ ჩვენთვის საჭიროა გამოცდილი ინსტრუქტორები და ამ გამოცდილებას კი იქ მიიღებენო. თან თუმანიშვილმა და გურამიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება იმას მიაქციეს, რომ დრამატიულ საზოგადოებასაც არა აქვს არავითარი სახსარი და ამ მხრით ისეთივე მდგომარეობაშია იგი, როგორშიაც იქმნებიან არტისტებიო. დასრულდა კამათი იმით, რომ კრებამ 18 კაცის უმეტესობით ორის წინააღმდეგ, ორმა კიდევ თავი შეიკავა, გადასწყვიტა ანტრეპრიზა ისევ დრამატიულმა საზოგადოებამ აწარმოოსო. ქართული კურსების [illegible]დეც შემუშავებული ჰქონია დრამატიული საზოგადოების გამგეობას, მაგრამ უსახსრობისა გამო ამის ლაპარაკიც მეტად მიაჩნია.

შემდეგ განიხილეს ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის შედგენა დაევალა წინა კრებაზე გამგეობას. ამასაც შეედგინა ორი სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა: ერთი მოკლე, იმ შემთხვევისათვის, თუ თეატრის შენობას თავად-აზნაურობისაგან იჯარით არ აიღებენ და სუბსიდია არ ექნებათ და მეორე კიდევ იჯარით. განიხილეს იჯარიანი და გამოირკვა, რომ სეზონის განმავლობაში თეატრი მიიღებს **12** ათასს შემოსავალს და **20,500** მანეთს ხარჯს, მაშასადამე წაგება ექნება **8500** მანეთი. რომელიც უნდა თავად-აზნაურობას ეთხოვოს. თუმანიშვილი და გურამიშვილი საჭიროდ სთვლიდნენ წინასწარი მოლაპარაკება ყოფილიყო თავად-აზნაურობასთან, რომ დარწმუნებულები ყოფილიყავით დახმარებაზეო.

შემდეგ მიიღეს საზოგადოების ახალი წევრები და გამგეობიდგან გასულ ორ წევრთა მაგიერად დაასახელეს ქ. ა. მაჩაბლისა და მალალაშვილის ქალი.

კრება გათავდა ღამის 2-ის ნახევარზე.

## ანანურის სიძველე

(წერ. რედ. მიმართ)

ყველას მოეხსენება, რომ ჩვენს მიწა-წყალს უცხოელნი უფრო იცნობენ, ვიდრე ჩვენ თითონ. წარმოუდგენელია ის გულგრილობა, რომელსაც ვიჩენთ უპატრონოდ შთენილ ჩვენს წინაპრების ნაამაგდარევ ციხე-კოშკებ-ტაძრების მიმართ. ამის დასამტკიცებლად შორს არ წავალ. ამის წინედ კავკავიდან თბილისისკენ გამოვემგზავრე საქართველოს სამხედრო გზით. მგზავრებში უცხოელნიც იყვნენ, რომელნიც ცხრა-მთის იქიდან წამოსულიყვნენ ჩვენი სამშობლოს გასაცნობად. რასაკვირველია ყველა თვალ-საჩინო რამეს გზა-და-გზა ათვალიერებდა ცოტახნით გაჩერდით ანანურში, სადაც არის ძველი საყდარი ციხე-კოშკით და შევუდექით იმის დათვალიერებას. როგორც კი შევსდგით ფეხი ძველ ტაძარში, რომელშიაც ამ ჟამად წირვა-ლოცვა გაუქმებულია, თუმცა დიდ შეკეთებას არ მოითხოვს,—ჩვენ გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა იმ უსუფთაობის სანახაობით, რომელიც აქ ვნახეთ, რადგან საქონლის ბოსელად გაუხ-

# რა ცვლილება განიცადა მიწად-მოქმედებამ მეცხრამეტე საუკუნეში

(ალ. ჩუპროვისა).

რა შესძინა მეცნიერებამ სოფლის მეურნეობას მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს.—ლიბიხი და მინერალური სასუქი.—რა მნიშვნელობა აქვთ ცერცვოვანთ აზოტის შესათვისებლად.—გელრიგელი და ბაქტერიალური თეორია აზოტით მიწის გაპატივება-გასუქებისა.—რა გავლენა იქონია მეცნიერების აღმოჩენამ სოფლის მეურნეობის წესსზე და მისი შედეგები.

—

წარსულ საუკუნის დასასრულს მეცნიერებამ ბევრი ისეთი რამ აღმოაჩინა, რომლის წყალობითაც სოფლის მეურნეობა სულ სხვა საფუძველზე დამკვიდრდა. ზომბარტი ამბობს, („გერმანიის მეურნეობის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში“), რომ სამრეწველო წესის არც ერთ დარგში არ მომხდარა წარსულ საუკუნის განმავლობაში ისეთი თვალსაჩინო, ძირითადი ცვლილება, როგორც მიწათ-მოქმედებაშიო. მიწათ-მოქმედების შესახებ აღმოჩენილი ცნობები მას, პრინციპიალურად უფრო დიდ-მნიშვნელოვანად მიაჩნია, ვიდრე მაგალითებრ, ორთქლის ძალის ბევრნაირად გამოყენება. აღმოჩენანი, რომელთაც ჩვენ ვგულისხმობთ, ეხება უმთავრესად ადამიანის ხელით მოყვანილ მცენარეთა კვებას. წარსულმა საუკუნემ აგრონომიის*) სხვა დარგსაც შესძინა ბევრი რამ ახალი, მაგ. სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების აშენება-აგებას, საქონლის მოშენებას, სათესლოდ მცენარეთა მოშენებას და სხვას, მაგრამ ყველა ეს არაფერია შედარებით იმ ცვლილებასთან, რომელიც განიცადა მცენარეთა კვების თეორია-პრაქტიკამ.

მიწის ნაყოფიერობის აღსადგენი, უწინდებური, ძველთა-ძველთაგანი საშუალება იყო ორგანიული**) სასუქი.

მეურნეს ერთი რამ საზრუნავი ჰქონდა, რაც შეიძლება მეტი ორგანიული სასუქი შეეგროვებინა და შეძლებისამებრ სარფიანად გაენაწილებინა მინდვრებზე; ჯერ წარსულ საუკუნის დასაწყისშივე სოფლის მეურნეობის თეორია მხოლოდ ამკვიდრებდა და აწესრიგებდა პრაქტიკ მეურნეთა გამოცდილებას; მხოლოდ მე 19 საუკუნის შუა ხანში, ემპირიზმის ეს სამეფოც განათლდა უეცრივ ხალას მეცნიერულ გამოკვლევათა წყალობით.

სოფლის მეურნეობის ახალს საფუძველზე დამკვიდრება წილად ჰხვდა გერმანელ სწავლულს ლიბიხს; ლიბიხია დამფუძნებელი მცენარეთა ფიზიოლოგიისა, სამიწათმოქმედო ქიმიისა, და მასთან ერთად მიწის გაპოხიერება-გასუქების ახლანდელ მეცნიერულ თეორიისა; მხოლოდ ლიბიხმა შესძლო გამორკვევა მცენარისა და ნიადაგის შორის არსებულ ურთიერთობის ვითარებისა და ამით იმ საკითხის გადაწყვეტაც, თუ როგორ და რა საშუალებით შეიძლება ნიადაგის ნაყოფიერობის შენახვა-დაცვა და წარმოიდგინეთ მისი გადიდებაც კი. ლიბიხმა პირველმა დაადგინა ის ფაქტი, რომ მიწის ნაყოფიერობის შესუსტების მიზეზი არის ნიადაგიდან ამოღება) გამოხდა მინერალურ ნივთიერებათა, რომელთაც მცენარე თავის სხეულის ასაგებად საჭიროებს და ფერფლად, ნაცრადა სტოვებს თავის დაწვის შემდეგ; ეს ფაქტი დღეს ყველასაგან მიჩნეულია, მის დროს კი სადაო და საეჭვოდ მიაჩნდათ იმ დროის უგანათლებულეს პირთაც კი!

იმ ათ უმთავრეს ელემენტთაგან, რომელთაგანაც მცენარე ქიმიურად შესდგება და, მაშასადამე, მცენარეს საზრდოდ სჭირია, ნახშირბადს იგი ჰპოვებს ნახშირმჟავის სახით ატმოსფერის ჰაერში, წყალბადს და მჟავებადს—წყლის სახით, რომელიც დედამიწას ეწვიმება, მჟავბადს ამის გარდა კიდევ თავისუფალ მდგომარეობაში ატმოსფერაში; დანარჩენს მასალას კი მცენარე ეზიდება, იღებს ნიადაგიდან და თუ ვინიცობაა მცენარეს ნიადაგში მყოფი მასალა შემოაკლდა, მაშინ საჭიროა მიწის ხელოვნურად გასუქება, გაპატივება. მაგრამ ყველა ელემენტი ერთნაირად როდია საჭირო მიწის გასაპოხიერებლად: ზოგი მათგანი მცენარეს ნაკლებად სჭირდება, ზოგი—მეტად; ზოგი მიწაში ჭარბად მოიპოვება, ზოგი ნაკლებ; ამის გამო მიწის გასუქების თეორიამ უმთავრესად სამ ჯურის ნივთიერებასთან აქვს ხოლმე საქმე: ფოსფორის, კალის და აზოტის შესაერთებებთან. ყველა ეს სამგვარი ნივთიერება, ჩვეულებრივ საკმაოდ არ მოიპოვება ნიადაგში; ხოლო თუ ერთ-ერთი საჭირო ელემენტი მაინც დააკლდა მცენარეს, მაშინ ორგანიული ნივთიერება აღარ შეიქმნება და მცენარის ზრდაც შეუძლებელი გახდება; ამისა გამო მცენარისათვის ყველა საჭირო ნივთიერებას ერთნაირი ფასი აქვს; თუ ერთ ერთი შემოაკლდა, მცენარე ველარ იხეირებს. მცენარეს არც ის შველის, დანარჩენი სულაც რომ ჭარბად ჰქონდეს, ერთის გარდა, იგი მაინც ვერ გამოიყენებს; ამ რიგად ის ელემენტი, რომელიც (მის საჭიროებისა დაგვარად) ნაკლებად მოიპოვება ნიადაგში, განსაზღვრავს (**обусловливаетъ**) დანარჩენ ნივთიერებათა იმ რაოდენობას, რომლის შეთვისებაც მცენარეს შეუძლიან. ამგვარად გამოჰხატა ეს კანონი: მოსავლის რაოდენობა, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ ამა თუ იმ ფიზიკურ აგებულობის და ქიმიურ შედგენილობის მინდვრიდან, განისაზღვრება იმ ერთ ერთ მცენარის ნორმალურ განვითარებისათვის საჭირო ელემენტით, რომელიც ყველაზე ნაკლებად „**in minimo**“ მოიპოვება ნიადაგში (რასაკვირველია მცენარის მიერ ადვილად შესათვისებელ მდგომარეობაში). ეს „მინიმუმის კანონი“ დაედო მკვიდრ საფუძვლად მიწის გაპოხიერების თეორიას. როცა მინდორს წლითი-წლობით მარტო ნეხვით აპატივებენ, ამით მინდორს ყოველწლივ აკლდება ერთ ერთი წილი იმ ნივთიერებისა, რომელსაც აძლევს მცენარეს; ამიტომაც ნეხვით მიწის რაციონალურად გასუქებასთან ერთად საჭიროა ხელოვნურ სასუქთა მიშველებაც. ლიბიხმა პირველმა აღნიშნა ხელოვნურ სასუქთა საჭიროება და ყველას ყურადღება მიაქცია მათზე; ლიბიხის მთავარი თხზულება: „ქიმიის პრაქტიკული გამოყენება მიწათ-მოქმედებისა და მცენარეთა ფიზიოლოგიისათვის“ გამოვიდა 1840 წელს და პირველს ხანებში მტრულად დაუხვდნენ; ბევრმა წელმა განვლო, ვიდრე მკლევარი თავის აზრების აღიარება—მიჩნევას ეღირსებოდა.

მიწის გასუქების თეორიის შემდეგი გამარჯვება გამოისახა პირველ ხანებში იმ მასალის ძებნაში, რომლიდანაც შესაძლებელი იქმნებოდა მცენარისათვის საჭირო მინერალურ ნივთიერებათა ამოღება, და ამ ნივთიერებით მიწის შესაფერად გაპოხიერება. ფოსფორის სიმჟავეს უხვად გვაძლევს ბუნება. ევროპის და ამერიკის მრავალს ადგილას მოიპოვება ეგრედ წოდებული „ფოსფორიტები“. კერძოდ, რუსეთში მრავლად მოიპოვებიან ამ მინერალების სათხრელი ადგილები, და ამასთანავე საუკეთესო ღირსებისა, რისა გამო მაგალითად, პოდოლის ფოსფორიტებს ასი ათას ფუთობით მიეზიდებიან სამზღვარ გარეთ. სოფლის მეურნეობაში ხმარობენ დაფქვილ ფოსფორიტებს; ფოსფორიტების დაფქვა არა ჯდება ძვირად, და ამიტომ დაფქვილი ფოსფორიტები უიაფეს სასუქად ითვლება. ეგ არის, რომ დაუმუშავებელი ფოსფორიტები ძნელად ლხვებიან, იხრწნებიან და ნიადაგიც ვერ ითვისებს (**усвояетъ**); მხოლოდ ზოგიერთ ნიადაგზე (მჟავე რეაქციან ნიადაგზე) და ისიც ზოგიერთ მცენარეთათვის, როგორც მაგ. (ლუპინი, „კრუპკა“, **гречиха**)—თუ გამოდგება დაუმუშავებელი ფოსფორიტი; აქ ითვისებს მცენარე და ნიადაგი; თორემ უმეტეს წილ ფოსფორიტები უწინ გოგირდის სიმჟავით უნდა იყვნენ დამუშავებულნი და მხოლოდ მაშინ გამოადგებიან მცენარეს; ამისთანა დამუშავებულ ფოსფორიტს სახელად ჰქვიან „სუპერ-ფოსფატი“; ფოსფორის სიმჟავის მეორე მასალა არის დამწვარი და დაფხვნილი ძვალი, ეგრედ წოდებული „ძვლის ფქვილი“; მესამე მასალა შედარებით დიდი ხანი არ არის, რაც აღმოაჩინეს. ეს არის ტომასის შლაკი (წიდა, ხენჯი) ტომასის წიდა დაერქვა სახელად იმ კაცისა, რომელმაც ახალი წესი გამოიკვლია ჩუგუნის (?) რკინად და ფოლადად დამუშავებისა. ტომასის წიდა რჩება, როგორც ნაგავი, ნაყარი რკინის წარმოებაში დაფხვნილ, დაფქვილ ტომასის წიდაში, ხენჯში მყოფი ფოსფორის სიმჟავე ადვილი შესათვისებელია მცენარისათვის. პირველად სცადეს მისი მოხმარება გერმანიაში **1884** წელს; ამასთანავე გამოირკვა, რომ ზოგიერთ ნიადაგზე

*) აგრონომია—სოფლის მეურნეობის მეცნიერებაა.

**) ორგანიული ე. ი. ცხოველთა და მცენარეთა, აგრეთვე ცხოველთა განავლის გახრწნა-დაშლით წარმომდგარი სასუქი.

დიათ, რის გამო დათვალიერება ამ ტაძრისა შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, ძველი საუცხოვო მხატვრობაც აჭრელებულია სხვა-და-სხვა უაზრო წარწერებით. ტყუილად კი არა თქმულა: „უპატრონო საყდარს-ეშმაკები დაეპატრონენო“, ამიტომაც უცხოელთ საყვედურით მომმართეს: „ნუ თუ ქართველობა ასე აბუჩად იგდებს თავის მამა-პაპათა ღვაწლს და ხსოვნასაო“.—რაღა მეთქმოდა, გაწითლების მეტი?

წარმოიდგინეთ მღვდელი და „სტაროსტაც“ ჰყავს აქაურ მრევლს, რომლის საყდარი გვერდზე აკრავს ამ ისტორიულ ნაშთს, და ნუ თუ მამა მღვდელს და აქაურ მოწინავე საზოგადოების მოვალეობას არ შეადგენს, რომ ცოტა თვალ-ყური ადევნონ ამ საინტერესო ნაშთს. და თუ ვერ განაახლებენ და შეაკეთებენ—სუფთად მაინც შეინახონ?

„სტაროსტის გადმოცემით, ეს ტაძარი ციხე-კოშკით აგებული ყოფილა თამარ-მეფის დროს და მრავალჯერაც შელახულა ურწმუნო მტრისაგან. ასეთი უყურადღებობა არ ეპატიება მეტადრე აქაურ მოძღვარს, რადგან ეს ძველი ნაშთი საუცხოვო სანახავს წარმოადგენს და ისეთ ადგილას მდებარეობს (საქართველოს სამხედრო გზაზედ), სადაც მთელი ზაფხულობით განუწყვეტელი მოგზაურობაა უცხოელებისა და ჩვენ კი ქართველობა, სირცხვილში ვვარდებით, დრო გამოვფხიზლდეთ.

ერმალოზა კახი.

## წერილი ახალ-სენაკიდან

როგორც მოგეხსენებათ, აქ ყოველ წლივ პეტრე-პავლობის დღეს ბაზრობა იმართება, რომელიც თითქმის ერთ კვირას გრძელდება. ეს ბაზრობა განსაკუთრებით სამეგრელოს დაბა-სოფლებიდან აუარებელს ხალხს იწვევს, რადგანაც იმართება ადგილობრივი ჯიშის ცხენების მარულა, რომელიც იშვიათი მოვლენაა სამეგრელოში. წელსაც გაიმართა მარულა და პირველი ჯილდო მიიღო თეოფ. ჭაჭიას ცხენმა 30 მან; მეორედ მიხ. ქორთუას ცხენმა—40 მან; მესამედ შენგელიას ცხენმა—20 მან; საინტერესოა მარულა, ცხენების მხედარი პატარა ყმაწვილების მორთულობა და მათი აფხაზური კიყინა ცხენებისა, ადამიანს სიამოვნებას აგრძნობინებს.,.

აქვე გაიმართა რამდენიმე ქართული წარმოდგენა ქუთათური და ტფილისელის მსახიობთა მიერ, რასაც ხალხი ბლომად ესწრებოდა.

ევროპის სხვა და სხვა კუთხიდან იყვნენ ჩამოსულნი 7 განთქმული მოჭიდავე ფალავანი ქალები 6. ესებუას თაოსნობით. ამათმა ჭიდაობამ დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, დააინტერესა და ბლომად ესწრებოდნენ. არც კალანდაძის ცირკმა დაგვტოვა უყურადღებოდ. მან ძალზე მიიზიდა საზოგადოება. სხვა ნაირ-ნაირი გასართობები ვინ იცის, რამდენი იმართებოდა.

არა ერთხელ გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ ეს ბაზრობა უფრო დღეობასა ჰგავს, რადგან ნაკლებადა შეხვდებით ადგილობრივ ნაწარმოებს. სასურველია ბაზარი მიეცეს ადგილობრივ ნაწარმოებსა; თუმცა და ამ დღეს ცოტა წვიმიანი დარი იდგა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხალხი აუარებელი იყო. არავითარი ჩხუბი და აყალ-მაყალი, როგორც ამგვარ დროში მოსალოდნელია, არა მომხდარა...

კალანდა.

## აშენდა საქართველო

(სცენები 3 მოქმედ. ქართ. სტუდენტთა ცხოვრებიდან ფოცხვერაშვილისა.)

კვირას, 3 ივლისს, „ქიათურაში პირველად ვნახე „აშენდა საქართველო“. მახსოვს, თუ როგორი კორიანტელი დააყენეს ამ პიესის შესახებ ქართულ გაზეთებში, როცა ეს პიესა პირველად ითამაშეს. მახსოვს, როგორის თავგამოდებით იცავდნენ ქართველ სტუდენტობას ფოცხვერაშვილის „ცილის წამებისაგან“. „ფოცხვერაშვილი თავის სცენებში ჩირქსა სცხებს ქართველ სტუდენტობასაო, მაგისთანა არაფერი ხდება ქართველ სტუდენტობაში, თითო ორი გამონაკლისი რა სამაგალითოაო და სხვა“. იმოდენა სისინით ფოცხვერაშვილი იქამდის მიიყვანეს, რომ მან ეს პიესა დაბეჭდვის ღირსადაც აღარა სცნო და დახევას უპირებს. მხოლოდ ქიათურის დასის რეჟისორს ა. წუწუნავას ფოცხვერაშვილისაგან აქვს ნება ამ პიესის დადგმისა იმ პირობით კი, რომ შემდეგ უნდა დახიოს. ყველას, რასაკვირველია, თავისი აზრი აქვს, მაგრამ რა საჭიროა ამ პიესის დახევა? ჩვენ, ქართველები, ხომ ისეც ღარიბნი ვართ ორიგინალური პიესებით!.. ჩემის აზრით ამ პიესას დახევა კი არა, დაბეჭდვა უნდა ცოტა შესწორებით. მაგ. მეორე მოქმედება უნდა შესწორდეს. ამ მოქმედებაში გამოყვანილი დადებითი ტიპი სტ. შიმშილაძე ძალიან მკრთალია. შიმშილი და ორი სამი სიტყვა ხალხის სამსახურის შესახებ შიმშილაძეს დადებით ტიპად ვერ გახდის. საჭიროა შიმშილაძეს მეტი სიცოცხლე, მეტი ენერგია მოემატოს. ნუ თუ ქართველ სტუდენტობაში არ მოიპოვებიან უფრო აშკარად გამორკვეულნი იდეალური პიროვნებანი, ვიდრე შიმშილაძეა? პირველ და მესამე მოქმედება საუცხოვოა, საუცხოვოდ არის დასურათებული აგრეთვე აზნაურობის მაძიებელი მანუჩარი, შორაპნიდან პეტერბურგში ჩასული საჩივლელად.

ამ პიესის დედა აზრი შემდეგია: „ქართველი სტუდენტობა დაქვეითდა, იგი უფსკრულისაკენ მიექანება; უმაღლესს სასწავლებელს იგი უყურებს, როგორც „დიპლომის ქარხანას“, და ამისთვის იქ სწავლას კი არ ეძებს, არამედ დიპლომს; ქართველი სტუდენტობა მეტ ნაწილ დროს ატარებს ქაღალდის თამაშობაში, ქეიფსა და არშიყობაში; იგი მოკლებულია იდეალურ მისწრაფებათ“. მთელი სამივე მოქმედება ფოცხვერაშვილის პიესისა ამ დედა-აზრს გვისურათებს.

ეთანხმება თუ არა ფოცხვერაშვილის სცენები სინამდვილეს?

ჩემის აზრით ეს სცენები ნამდვილი სურათია ჩვენის სტუდენტთა ცხოვრებისა. რა საჭიროა თვალების დახუჭვა, რა საჭიროა ჭირის დამალვა? ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა: „ჭირმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო?“ დიახ, ყველა ჩვენგანმა იცოდეს ჩვენი სიდუხჭირე!. გამოვიჩინოთ იმდენი მოქალაქობრივი გამბედაობა, ჩვენ თვითონვე ავლიაროთ ჩვენი ჭირი, შევხედოთ მას თვალებში, ჩავუკვირდეთ, რა მიზეზმა დაჰბადა იგი, და რა პირობანი მოსპობენ მას.

ქართველ სტუდენტობის დაქვეითება ფაქტია თუ არა? ვნახოთ. მე საუნივერსიტეტო ქალაქებში არ მიცხოვრია და ქართველ სტუდენტთა ცხოვრებას ადგილობრივ არ დაკვირვებულვარ, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, „ხე ნაყოფით იცნობისო“, და მართლაც აბა ერთი დააკვირდით სტუდენტთა ცხოვრებას ზაფხულში, როცა ქართველი სტუდენტობა სახლში ბრუნდება. რას აკეთებენ ქართველი სტუდენტები თითო ოროლას გარდა, რასა და, განა მთელმა ქართველმა საზოგადოებამ არ იცის? ბანქოსა და ბილიარდის თამაშსა, ქეიფსა, არშიყობასა, ცეკვასა და „სკანდალებში“ ამოსდით სული. განა ცოტა დაწერილა ამისა? აი თუნდა მაგალითები. მუდამ წელიწადს გაზეთებში კითხულობ მოწოდებას: „საშუალო და უმაღლესს სასწავლებლის მოსწავლენო, შეაგროვეთ ხალხის ნაწარმოებნი, რომ არ დაიკარგოსო. თითოს რომ ორი ნაწარმოები მაინც ჩასწეროს და საისტორიო საზოგადოებას გაუგზავნოს, ისიც კარგი იქნებაო.“ და განა ამ მოწოდებას მიაქცია ვინმემ ყურადღება? თუნდა ამას თავი დავანებოთ, ზაფხულში თავისუფალ დროს ჩვენ სტუდენტობას შეეძლო შეესწავლა ჩვენი სამშობლოს ბუნება, ისტორია, მწერლობა, მაგრამ... არშიყობას, ქეიფს თავს რომ ვერ ანებებს.

ქართველ სტუდენტობის დაკნინების, ზნეობრივად დაცემის ცოტა მაგალითებია? აი თუნდა, რაღა შორს წავიდეთ, ამას წინად „სახ. გაზ.“ წერილი იყო, ამა და ამ სტუდენტმა ესა და ეს ექსკურსიის ხელმძღვანელი გატყუაპა, რადგანაც მან ველოსიპედის ჩაბარება ვერ მოასწროვო; ან არ გახსოვთ, რომ ერთ პატივცემულ პროფესორს ქართველმა სტუდენტმა სილა უთავაზა? რამდენი იმისთანა მაგალითი არ გამოქვეყნებულა.

ამითი იმის თქმა კი არ მინდა, რომ ქართველ სტუდენტობაში არ იყვნენ სერიოზული და იდეიური პირნი, მაგრამ ესენი გამონაკლისს შეადგენენ.

საუნივერსიტეტო ქალაქებში ჩვენს სტუდენტობას რომ შინაარსიანად ეცხოვრა, განა სამშობლოში დაბრუნებისას ესე ფუქსავატად გაატარებდა დროს? შრომას შეჩვეული დაშრომით გაფაქიზებული იგი დასასვენებლადაც კი შრომას მონახავდა; და განა ცოტა საშრომია ჩვენს სამშობლოში?

ამ გვარად, ჩვენ სტუდენტთა სამშობლოში ყოფნა ქცევა უტყუარი მოწმეა იმისა, თუ როგორ უშინაარსოდ ცხოვრობს იგი საუნივერსიტეტო ქალაქებში, და ფოცხვერაშვილის პიესა ნამდვილ ცხოვრებიდან არის ამოღებული.

ფუქსავატი ცხოვრება ადამიანს აწვრილმანებს, აკნინებს და მასში ყოველივე იდეალურ მისწრაფებას სპობს. უიდეალო ადამიანი კი პირუტყვს ემსგავსება. მასში ყოველივე უმაღლესი ინტერესი ჰქრება და „კუჭის ინტერესი“ მეფდება. „კუჭის ინტერესის“ ბატონობას კი კაცი „თბილ ალაგების“ ძებნამდე მიჰყავს. და მართლაც, ჩვენი სტუდენტობა უკვე უმაღლესს სასწავლებლებში სულ იმის ფიქრშია, რომ სასწავლებლის გათავებისას როგორ ჩაიგდოს „თბილი ალაგი“. ფოცხვერაშვილის პიესის ერთი სტუდენტთაგანი ამბობს, „ნეტა როდის მეღირსება რომ სწავლა დავასრულო და „სუდში“ შევიდეო. რას მიქვიან ხალხის სამსახური,-ეს განყენებითი ცნებაა, კარგი ის არის, ყოველ თვის 20 რიცხვში ჯამაგირს იღებდე და ბატონივით იცხოვრო. საქმეც ბევრი არ გექნება, სულ ქამაში იქნები და ძილში. რა კარგია ამისთანა უდარდელი ცხოვრებაო.“

და განა ეს ტყუილია? ქართველი სტუდენტობა ოცნებობს მხოლოდ იმას, თუ როდის ეღირსება „დიპლომის ქარხნიდან“ (ფოცხვერაშვილის ერთი გმირი ესე ეძახის უმაღლესს სასწავლებელს) დიპლომის გამოტანა და გაჩინოვნიკება, („თბილი ალაგის“ შოვნა). უმაღლესს სასწავლებელში კურს დამთავრებულთა გაჩინოვნიკებამ რაღაცა ეპიდემიური ხასიათი მიიღო. ქართულმა პრესამაც მიაქცია ამას ყურადღება, საზოგადოებამაც ხმა ამოიღო: „სტუდენტთა სტიპენდიებისათვის ნუღარ ვხარჯავთ ფულს, ეს ფული ხალხის სწავლა განათლებას მოვახმაროთო.“

მგონი კითხვა საკმარისად გამოირკვა და ფოცხვერაშვილის პიესა არა მგონია სინამდვილეს არ ეთანხმებოდეს.

რა არის მიზეზი ქართველ სტუდენტთა ესე დაქვეითებისა, დაკნინებისა, გათახსირებისა?

ერთ მიზეზთაგანს თვით ფოცხვერაშვილი ასახელებს; ეს გახლავსთ ანორმალად დაყენებული საშუალო სკოლა. ერთი სტუდენტთაგანი ფოცხვერაშვილის პიესისა ზიზღით, იგონებს საშუალო სკოლას. იქ მოსვენება არა გვქონდაო. მშობლები თავს გვაბეზრებდნენ, გაკვეთილები ისწავლეთო. მუდამ სხვისა მხედველობის ქვეშ ვიყავით და თავისუფლად სუნთქვაც კი არ შეგვეძლოვო: ეს ისპექტორი, დირექტორი, ზედამხედველი, კლასის დამრიგებელი, სულ საქმეს გვიჭირებდნენო. ლათინურისა და სხვა და სხვა საგნების „ზუბვრამ“ ხომ თავი გამოგვილაყაო. უნივერსიტეტმა ძლივს თავისუფლება მოგვანიჭა, აქ არც ისპექტორია, არც ზედამხედველი, გინდა ლექციებზე იარე, გინდა არა, ხმას არავინ გაგცემს, უნივერსიტეტში დრო უნდა გავატაროთო. და მართლაც დროს ატარებენ; მათ ცხოვრებაში ბანქოს თამაშმა, ქეიფობამ, არშიყობამ პირველი ალაგი დაიჭირა. აი სტუდენტები რასა მღერიან:

„მე ავარად დავდივარ,
ღამე შინ არ შავდივარ,
დედა ჩემს კი ჰგონია
ლექციებზე დავდივარ“.

მუდამ სხვისა მხედველობის ქვეშ დაჩვეულმა ახალგაზრდობამ ვერ იშვნია სტუდენტური თავისუფალი ცხოვრება და თავისებურად გამოიყენა ეს თავისუფლება: ძალიან დიდი ნაბიჯი იყო საშუალო სკოლიდან უმაღლესს სკოლამდე!

ამის გარდა ჩვენებურმა საშუალო სკოლებმა ჩვენი მოსწავლენი გახრწნა, თავის წვენი გამოუშრო, ენერგია დაუხშო. რა საზიზღარი ამბები არა ხდება ჩვენ საშუალო სკოლებში! ჯერ ერთი პირველი წლიდანვე ყველა საგნების უცხო ენაზე სწავლება გონებრივადა სჩაგრავს მოსწავლეებს მეორეც „უსტინოვიჩისთანა“ საქციელი მასა ხრწნის, თავმოყვარეობას უთელავს, იურკევსკის*) მაგალითები ათახსირებს მათ.

სკოლა მოსწავლეებს უნდა ზნეობრივად ზრდიდეს, იდეალებს უნდა უნერგავდეს. თავისის სისპეტაკით სკოლა თვით იდეალი უნდა იყოს მოსწავლეთათვის. სკოლა უნდა იყოს გზა და ხიდი სიმართლისაკენ, კეთილისაკენ, მშვენიერებისაკენ. სკოლის სული—მასწავლებელია, მუდამ უნდა თავს დასტრიალებდეს სკოლას და ლამპარივით გზას უნათებდეს იდეალისაკენ.

მაგრამ განა ჩვენ მოხელე-მასწავლებლებს შეუძლიანთ იდეალებისთვის ფიქრი, როცა მხოლოდ „ოცსა“ ფიქრობენ? მათ რა უნდა შთაუნერგონ მოსწავლეებს გარყვნილების მეტი?

მაგრამ საშუალო სკოლა რაც უნდა მკაცრი ყოფილიყო, იგი ისე ვერ გასტეხდა, ისე ვერ დააქვეითებდა, ვერ გაჰხრწნიდა, ვერ გაათახსირებდა მოსწავლეებს, თუ ოჯახში მოსწავლენი გაიჟღინთებოდნენ უმაღლესის იდეალების სამსახურის სურვილით. მოწაფის ზნეობრივ აღზრდაზე ოჯახს დიდი გავლენი აქვს. როგორც ხოლერის გაჩენის დროს დიდი მნიშვნელობა ეძლევა ჰიგიენურ პირობებს, ისე არა ნორმალად დაყენებულ სკოლის გამათახსირებელ პირობებთან ბრძოლაში, ეროვნულად დაყენებული ოჯახი, პირველ ალაგს იჭერს. მხოლოდ ეროვნული ოჯახია უმაღლესის იდეალების მატარებელი. ეროვნულ ნიადაგს აცდენილი ოჯახი ჰკარგავს ზნეობრივ პიროვნებას. მართლაცა და რა ზნეობრივი პიროვნება უნდა აღგვიზარდოს იმ ოჯახმა, საცა „პოლიტიკანობაა“ გამეფებული, საცა იმ მოსაზრებით, რომ ქართული ენა გამოსადეგი არ არის და რუსული კი ყველგან გამოსადეგია, ბავშვს ეროვნულ ნიადაგს აცილებენ. ამ პირობებში გაზრდილი ბავშვი დაემსგავსება იმ თაგუნას, რომელმაც თაგვობა იუკადრისა და ფრინველებში დასდო თავი, შემდეგ ვერც ფრინველობა გასწია და ვეღარც თაგვობა.

ჩვენი ოჯახი კი შერყეულია, საუბედუროდ ოჯახი შეირყვნა არა მარტო მაღალ საზოგადოებაში, არამედ „პროლეტარულ“ ნაწილშიაც კი. აბა დაუკვირდით რკინის გზაში ქართველ მომუშავეთა ოჯახს.

ამგვარად ქართველ სტუდენტთა დაქვეითებას ისე ბლომა პირობანი უწყობდნენ ხელს, რომ საკვირველია თითო ორ-ოლა პირი როგორ გადაურჩა ამ საზოგადო გათახსირებას!

თუ გვსურს სტუდენტობა ავამაღლოთ, უნდა ოჯახი გავაფაქიზოთ. ოჯახი საძირკველია, სათავეა ადამიანის ცხოვრებისა, და „წყალი კი სათავეში აიმღვრევაო“. თუ ანკარა მდინარე გვინდა, სათავეში არ უნდა ავამღვრიოთ.

ქიათურის სცენის მოყვარეებმა გასაოცარის სიცოცხლით დაგვიხატეს სტუდენტთა ცხოვრება. მშვენივრად ასრულებდა მსახიობი ვასო აბაშიძე პეტერბურგიდან ჩამოსული აზნაურობის მაძიებელ მანუჩარის როლს და ბენია ლეჟავა რესტორანის მსახურის ივანიკოს როლს. ლეჟავას სასცენო ნიჭი ეტყობა და იმედია ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით მშვენიერი მსახიობი დადგება. სხვები, ანსამბლს ხელს უწყობდნენ. საზოგადოება ბლომად დაესწრო, თუმცა ეს პიესა ქიათურაში მეორედ იდგმებოდა. სცენები ძალიან სასაცილოა, და ბევრიც ვიცინეთ, მაგრამ ეს სიცილი „ცრემლზე უფრო მწარე იყო“.

გიორგი ბურჭულაძე.

*) უსტინოვიჩმა ქართულს მაღლური ენას დაუძახა, იურკევსკი მოწაფეებისაგან ქრთამს იღებდა.

---

ტომასის წიდა სავსებით სწევს სუპერფოსფატის მაგიერობას, ზოგიერთზე კი, რათა სუპერფოსფატისთანა ძალა ჰქონდეს, საჭიროა ცოტა ჭარბად მოახმარონ ნიადაგს.

კალი, თუ დააკლდა ნიადაგს, ისევე ეჭირვება ნაყოფის გამოსაღებად, როგორც ფოსფორის სიმჟავე. კალის სასუქის მასალა არის შეშის ნაცარი, და შედარებით ამ მოკლე ხანში შემოვიდა ერთი კიდევ—კალის მარილები (მეტადრე კაინიტი), რომელსაც სთხრიან სტასსფურტსა და გერმანიის ზოგიერთ სხვა ადგილებში. სტასსფურტის მარილის დამუშავება დაიწყეს სამოციან წლებიდან, ხოლო ფართოდ იწყეს მისი ხმარება სოფლის მეურნეობაში, მხოლოდ ოთხმოციან წლებიდან.

მცენარის საზრდოს უმთავრესი ელემენტი არის აზოტი. უმთავრეს მასალად აზოტიურ სასუქების მისაღებად არის გვარჯილა, გვარჯილა შემოაქვთ ევროპაში სამხრეთ ამერიკიდან და სახელად ჰქვიან ჩილის გვარჯილა; მარტო ერთი გერმანია ყოველწლივ ეზიდება 30 მილიონ ფუთამდე. მეორე გავრცელებულ აზოტიური სასუქი არის გოგირმჟავე ამიაკი, რომელიც რჩება როგორც ჯართი ზოგიერთ საქარხნო წარმოებაში, უმთავრესად კი გაზის წარმოებისაში; ამის გარდა ამ ახლო ხანში მეცნიერებამ ერთი უდიდესი აღმოჩენა შესძინა სოფლის მეურნეობას—მან აღმოაჩინა და დაამტკიცა რომ სოფლის მეურნეობას დაუშრეტელი მასალა აქვს აზოტისა ატმოსფერის ჰაერში. აღმოჩენა ისევე საფუძვლად დაედო თანამედროვე წესიერ მიწათმოქმედებას, როგორადაც ლიბიხის კანონები და ამიტომაც ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ ამ საკითხს.

სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკამ უძველეს დროიდან იცის, რომ არიან მცენარენი ცერცვოვანთა გვარისა (მაგ. სამყურა ბალახი, იონჯა, ცერცვის ლუპინი და სხვ.) რომელთაც შეუძლიანთ ჰაერის აზოტით კვება, შეთვისება, და არიან ისეთნიც, როგორც მაგალითად საპურე მცენარენი, რომელთაც „ცერცვოვანთა“ ეს თვისება არა აქვთ და ამიტომ მათ ნიადაგშივე უნდა ჰქონდეთ საკმაო აზოტი სასუქის სახით. ამ ორ გვარ მცენარეთა შორის არსებულმა განსხვავებამ გააბედვინა ფრანგს აგრონომს ვილლს ხალხის ყურადღება მიექცია მიწის გაპოხიერების ახალი წესისათვის, რომელსაც მან უწოდა სახელად „სიდერაცია“. ვილლი ურჩევდა მეურნეთ, საპურე მცენარეების დათესვის წინ ნიადაგის გასაპოხიერებლად დაეთესად სამყურა ბალახი, იონჯა, ლუპინი და ამ ბალახების მთელი მოსავალი მიწაში ჩაეხნათ. ამით მართალაც ნიადაგი მშვენივრად პოხიერდებოდა, მეტადრე როცა ცერცვოვანთა კარგი მოსავალი მოვიდოდა, ნეხვით გაპოხიერებულს მიწას არ ჩამოუვარდებოდა. ნაკლი ამ წესისა ის იყო, რომ ამ ბალახის მთელ მოსავლის ჩახვნა ხელს არ იძლეოდა, ზოგ ალაგას კი, საცა მიწა ძვირობდა, საზრდოც კი იყო; ამიტომაც „სიდერაციამ“ იქ მოიკიდა ფეხი, სადაც მსუბუქი ჰავის წყალობით შესაძლებელი იყო მცენარის ყანაში დატოვება გვიან შემოდგომამდე და, მაშასადამე, ცერცვოვანთაც სამყოფი დრო ჰქონდათ მოსაწევად, როცა პურის ადგილის შემდეგ სთესავდენ მათ; *) ეგ არის მხოლოდ რომ ცერცვოვანთ მოყვანა უმთავრეს მცენარეთა შუა, ყველგან როდი ხერხდება, და იქაც კი სადაც შესაძლებელია მეურნეს მაინც უჭირს მშვენიერ ბალახის მიწაში ჩახვნა, მის მაგიერ, რომ საქონელი გამოჰკვებოს მისი; ამ გასაჭირიდან გამოსავალი გზა გამონახა 70-იან წლებში, წარსულ მე 19 საუკუნისა იტალიელმა სტანისლავ სოლარიმ.

სოლარი მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკული დაკვირვებით დაადგა იმ აზრს, რწმენას, რომ მცენარენი, რომელნიც ნიადაგს აზოტით ამდიდრებენ, შეჰმატებენ, ამ აზოტს იღებენ, ითვისებენ ნიადაგის ნაპრეტებში მყოფ ჰაერიდან ფესვების წყალობით და რომ შეთვისებულ აზოტის უმეტესი წილი მოგროვილია მცენარის ძირში, ფესვებში და არა ყლორტ-ფოთოლში; ამიტომაც სოლარის აზრით საპურე ყანის გასაპოხიერებლად სრულიადაც საჭირო არ არის სამყურა ბალახის ჩახვნა მიწაში; ამისათვის სავსებით კმარა ის ძირ-ფესვიც, რომელიც ბალახის გათიბვის შემდეგ რჩება ყანაში; სოლარი იმასაც ურჩევდა, რომ მოეკიდათ ხელი ისევ ძველადვე ცნობილ საკვები ბალახის და საპურე მცენარეთა ურთიერთი მორიგეობისათვის, მეტადრე სამყურა ბალახით, და იონჯისა და პურისა (ხორბლისა), ამასთანავე სოლარის საჭიროდ მიაჩნია, რომ აუცილებლივ შეეტანათ ნიადაგში მცენარის საკვებად საჭირო მინერალური სასუქები, გარდა აზოტისა, რომელიც მცენარეს ჰაერიდან უნდა შეეთვისებინა; ნიადაგის გაპატივება შედარებით იაფ ფასიან ფოსფორის სიმჟავით, კალით და კირით სოლარს აუცილებელ პირობად მიაჩნდა მიწის აზოტით გასამდიდრებლად, რომელიც ყველაზე უფრო ძვირი სასუქია. სხვა პრაქტიკებში სოლარი მით განირჩეოდა, რომ ნიადაგის გაპატივებას იგი ურჩევდა პურის დათესვის წინ კი არა, არამედ იონჯას ან სამყურას წინ, და იმოდენა უნდა შეეტანათ, რაც საკმარი იყოს ორი ჯერის მოსავლის გასასუქებლად, ე. ი. ბალახისა და მათ შემდგომ დათესილი პურისათვის. სასუქის ხარჯი, სოლარის სისტემით, პატრონს უბრუნდებოდა საკვებ ბალახის უხვი მოსავლით და პურის ჭარში მოსავალი პატრონს მუქთად რჩებოდა, რაკი ნიადაგში საკმაოდ მოიპოვებოდა ცერცვოვანთა მიერ შენახული, მოგროვილი აზოტი.

სოლარის სისტემამ ძალიან მოიკიდა ფეხი იტალიაში, რომლის ბუნება გარემოებისათვის იგი საუცხოვოდ იყო შეფარდებული. სოლარიმ სისწორით გამოიკვლია, შენიშნა ეს ფაქტები, ხოლო მათი ახსნა კი ვერ შესძლო. ეს კი წილად ხვდა გერმანელ სწავლულს გერლიგელს. გერლიგელი მრავალს წელს მუშაობდა გერმანიის საცდელ სადგურებზე და თავის მუშაობის დაკვირვებანი მან წაიკითხა ჯერ 1886 წელს, ბუნების მეტყველთა ბერლინის კრებაზე, მერე კი, 1888 წელს, ცალკე წიგნადაც დაბეჭდა. ამ შრომაში ცხადად დაამტკიცა, რომ ცერცვოვანთა განსხვავება სხვა გვარ მცენარეთაგან აიხსნება იმ გარემოებით, რომ ცერცვოვანთ შეუძლიანთ ჰაერის აზოტის შეთვისება, ხოლო დანარჩენთ ეს არ ძალუძთ, გერლიგელმა ისიც გამოიკვლია, თუ რა პირობებში სწარმოებს ცერცვოვანთა მიერ ჰაერის შეთვისება. ეს მოვლენა მან ახსნა მიკროორგანიზმების ზედ მოქმედებით და ის ორგანოებიც აღნიშნა, რომელთა შემწეობითაც ცერცვოვანნი აზოტს ითვისებენ—„საწოვრის ჯირკვლები“. სანამ მცენარეს ეს „ჯირკვლები“ არა აქვს გაკეთებული, მანამ ცერცვოვანი ისევე იკვებება, როგორც სხვა მცენარე: ისევე უჭირს მას სასუქის აზოტი, გვარჯილა, ამიაკი, როგორც სხვას; მაგრამ გაიკეთებს თუ არა საწოვრებზე ამ ჯირკვლებს სულ იცვლის საზრდოს წესს; ჰაერის აზოტს, რომელიც მისთვის უწინ მიუწვდომელი იყო, ეხლა მშვენივრად ითვისებს. ამ ცვლილების მიზეზი არიან ერთი ჯურის ბაქტერიები, რომელნიც ამ ჯირკვლებში ბუდობენ და ჰაერის აზოტით იკვებებიან. ცერცვოვანი მცენარეც ამ ბაქტერიების სხეულში მოგროვილ აზოტიურ ნივთიერებით იკვებება. ამ რიგად გამოირკვა, როგორ და რის მეოხებით შეუძლიანთ ცერცვოვანთ ნიადაგში აზოტის რაოდენობის გადიდება. დიდი მნიშვნელობა აქვს გერლიგელის აღმოჩენას სოფლის მეურნეობისათვის. მართალია, პრაქტიკულად დიდი ხანია იცოდნენ ცერცვოვანთა სარგებლობა, მაგრამ ამ მოვლენის ახსნა განმარტებამ უფრო მეტი სიკეთე უყო სოფლის მეურნეობას. ამიტომაც არის, რომ გერლიგელის წიგნის დაბეჭდვის შემდეგ იმატა ცერცვოვანთა მოყვანამ და მათმა მორიგეობამ მცენარეთ-ცვლაში ბევრი რამ შეჰმატა მიწათ-მოქმედს.

რაკი აზოტის შემთვისებელი ბაქტერიებთან აღმოაჩინეს, რასაკვირველია ამ ბაქტერიების ხელოვნურად გამრავლებასაც მოისაზრებდნენ, რათა ამის წყალობით ცერცვოვანთა მეტი მოსავალი მოეცათ. მრავალი მსწავლული იკვლევდა და მუშაობდა ამ ბაქტერიებში ეგრედწოდებულ ნიტრაგინების გამრავლებისთვის და ბოლოს მიუნხენის პროფესორმა გილტნერმა ამ ბოლო დროს მოახერხა, როგორც ეტყობა ისე გაუმჯობესობა გამარტივება და გაიაფება ამ ბაქტერიების (ნიტრაგინი) მოშენებისა და მოხმარებისა (თესლს შეურევენ ხოლმე ამ ბაქტერიებს), რომ ამ იაფფასიანმა*) სასუქმა ძალიან გაიდგა ფეხი და დიდს სარგებლობასაც აძლევს მეურნეობას.

(შემდეგი იქნება)

ი. კარზელაშვილი.

*) ნიადაგის გასაპოხიერებლად რომ ხთესენ ცერცვოვანთ, ამასთანავე ხელოვნურს სასუქს უხვად ხმარობენ (მეტადრე ფოსფორს, მჟავას და კალიას) უმთავრესს საპურე მცენარის აღების შემდეგ რომ ცერცვოვანთ ხთესენ, ტომასის შლაკისა და კაინიტის წყალობით ცერცვოვანნი იმოდენა გასაპოხიერებელ მასალას იძლევიან, რომ, გერმანიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ ბერლინის მოძრავ გამოფენაზე წარდგენილ გარაუდით, იგი უდრის დესეტინაზე 2000 ფუთს ნეხვს. იხ. „Tageblatt der 21—ten Wander versamlurg stuck 1, p. 25.

*) ჰექტარზე საჭიროა მხოლოდ 1 მ. 50 კ.—მანეთისა.

# სპარსეთი

დეპეშები.

11 მკათათვე.

**თეირანი**. სამხედრო წესების მიხედვით თეირანსა და მის მიდამოებში პოლიტიკურ საქმისთვის ბევრი დაატუსაღეს. 10 მკათათვეს მეჯიდუდ-დოულეს ატუსაღებდნენ. ამ დროს მოცვივდნენ მისი ცოლები და მოახლეები. პოლიციელებმა სროლა აუტეხეს და ერთი ფეხ-მძიმე ქალი და ერთი მოსამსახურე მოჰკლეს, დაიჭრა 5 კაცი. მეჯიდუდ-დოულეს ცოლ-შვილი რუსეთის საკონსულოსთან ბესტში ჩასხდა. დაატუსაღეს ხირულ-ისლამი და იმამ-ჯურის ძმა. ყველა ამას ხელმძღვანელობს მეჯლისის მიერ ახლად შედგენილი კომიტეტი საზოგადოებრივი სიმშვიდისა. კომიტეტი, როგორც ეტყობა მთავრობისგან დამოუკიდებლად მოქმედებს, საპეხდარმა რეგენტს სამსახურიდან გადაყენება სთხოვა. თეირანში ხალხი ძალიან შეშინებულია.

**გაზეთებიდან.**

მაჰმედ-ალი-შახის ერთ მახლობელ პირს უთქვამს, შახს სპარსეთში დიდი ხანია რაც იბარებდნენ, მაგრამ ნათესავებმა ტრიკებისა ეშინოდა და ამიტომ წასვლას ვერა ჰბედავდაო. ეხლა კი, როცა დაბრუნება ერთმა ნათესავმა სთხოვა, მაჰმედ-ალი-შახმა წასვლა გაჰბედაო. მისი გეგმა ასეთი ყოფილა: სპარსეთს კონსტიტუციას შეუნარჩუნებს, მხოლოდ მას მოაშორებს დამღუპველ უკიდურესს რადიკალიზმს, მეჯლისთან ერთად დაარსებს ზედა პალატას და მინისტრთა პასუხისმგებლობას შეჰქმნის. მინისტრები პასუხის მგებლები იქნებიან, არა მარტო მეჯლისისა, არამედ შაჰის წინაშეც.

რა ძალა აქვს მაჰმედ-ალის, რიგიანად არ იციან. ზოგი ამბობს, მაგ., რომ მას ორი ზარბაზანი აქვს და თეირანთან მისვლას ვერ გაჰბედავსო. სხვები კი ამბობენ: მაჰმედ-ალის კარგად გაწვრთნილი არტილერია ჰყავსო.

თუ მაჰმედ-ალი-შახმა საქმე წააგო, სიკვდილით დასჯიანო, ამბობენ გავლენიანი სპარსელები.

თეირანში ხმა გავრცელდა, რეგენტმა მაჰმედ-ალი შახისაგან დეპეშა მიიღოო, დეპეშით მაჰმედ-ალი უბრძანებს რეგენტს, სატახტო ქალაქში წესიერება დაიცავი, ვიდრე მე მოვიდოდეო.

სარდარ-ასადი, ბახტრიარების მეთაური, რომელმაც მაჰმედ-ალის ტახტიდან ჩამოგდებაში დიდი მონაწილეობა მიიღო, ეხლა პარიზშია. ამ ბოლო დროს სპარსეთში რომ უწესოება დაიწყო, მეჯლისმა მას დეპეშით სთხოვა, სამშობლოში დაბრუნდი, შენი აქ ყოფნა საჭიროაო, მაგრამ სარდარ-ასადი სპარსეთს არ წავიდა. ეხლა უთქვამს, ის ცნობები, რომელიც სამშობლოდან მომდიოდა, საიმისო არ იყო, რომ ჩემი წასვლა საჭირო გამხდარიყოო. მას ერთი რამ აკვირვებს: მაროკოს საქმეები და სპარსეთის ამბები რადა ერთ დროს მოხდაო?

გერმანია და საფრანგეთი ეხლა მაროკოთი არიან გართულნი, ეს დრო სხვა სახელმწიფოებმა ისარგებლეს და სპარსეთისაკენ მიაქციეს თავიანთი ყურადღებაო. მაგრამ ამ ეჭვს ჯერ ჯერობით ფრთხილად ვექცევიო. სარდარ ასადს გაუგია, რომ მაჰმედ-ალი-შახს, მთელი თავისი ძვირფასი ნივთები ფულად უქცევია. ერთი ეჭვი კიდევა აქვს სარდარ-ასადს, შესაძლებელია, რომ მაჰმედ-ალის რომელიმე სახელმწიფომ ფული მისცაო. მისი აზრით, ბახტრიარები კონსტიტუციას ერთგულად დაიცავენ. სპარსეთს საშიში არა სჭირს რა, იმ დრომდის, ვიდრე ცის-კიდურზე არ გამოჩნდება რომელიმე უცხო სახელმწიფო, რომელიც სპარსეთის ანარქიასა და მაჰმედ-ალი-შახის მოქმედებას ხელს შეუწყობს.

— ლონდონის გაზეთები შახის მოქმედებით გაკვირვებულნი არიან. „Times" ს არა სჯერა, რომ რუსეთი შეეოდეს შახად ნამყოფს. „Daily Nevvs" ამის საწინააღმდეგო აზრისაა. ერთი გამოჩენილი მცოდნე აღმოსავლეთის საქმეების და ინგლისის პარლამენტის წევრი ამბობს, რუსეთმა თავი უნდა იმართლოს, რადგანაც იგი მოვალე იყო, შახი სპარსეთს არ გაეშვაო. საჭიროა ამაში დამნაშავენი დაისაჯნენ, თუნდ დიდი თანამდებობის ხალხიც იყვნენო.

— რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ერთ წევრს უთქვამს: მთელი ზამთარი სპარსეთიდან ცუდი ამბები მოდიოდა, ეტყობოდა, რომ ირანში არეულობა უნდა დაწყებულიყო. როცა მთავრობას სათავეში ეხლანდელი რეგენტი ნასრ-ულმულკი ჩაუდგა, ყველას იმედი მიეცა, რომ სპარსეთის საქმეები გასწორდებოდა. რეგენტი გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწეა. მაგრამ იმედი გაცრუვდა. ამავე დროს ცნობები მოდიოდა, რომ სპარსეთში შახად ნამყოფის მომხრენი ბევრნი არიან და ძლიერდებიან კიდეცაო. არეულობა ხელს უწყობდა მათ. ბოლო დროშდის რუსეთის დიპლომატიამ არ იცოდა, თუ რა როლს იკისრებდა მაჰმედ-ალი. აშკარაა, რომ მისი მომხრენი მხოლოდ მოხერხებულ დროს ეძებდნენ, შაჰისათვის ტახტი დაებრუნებინათ. ასეთი დროც ეხლა დაუდგათ. მაჰმედ-ალი ოდესიდან ვენას წავიდა, ვენიდან ბადენში. ამის შემდეგ მისი რუსეთს არაფერი გაუგია. მხოლოდ ბოლო დროს მოუვიდა ცნობა, ისიც ასტრაბადელი ელჩისაგან, რომ სპარსეთში თურქმენები შახად ნამყოფის სასარგებლოდ მოძრაობას იწყებენ. თურქმენებს გოკლანები და იოდუმები მიემხრნენ. ყველა ესენი კარგი ცხენოსნები არიან და მშვენიერი იარაღი აქვთ. კარგად ახსოვთ ის დრო, როდესაც ალი-მაჰმად-ხანის მეთაურობით ირანს იკლებდნენ. ეს ხანი ყაჯარელების დინასტიის მამათ-მთავარია. ადვილი გასაგებია, თუ მაჰმედ ალი-შახმა საშველად თურქმენებს რათ მიმართა, თითონაც მათი ჩამომავლობისაა. მოძრაობის სათავეში მაჰმედ-ალი-შაჰის ძმა სალარ-დოულე უდგას. იგი 31 წლისაა. ამ ბოლო ხანებში, მან თავის გარშემო დიდი ხალხი შემოიკრიბა და ეტყობოდა, რომ იმ როლისათვის ემზადებოდა, რომელსაც იგი ეხლა ასრულებს. სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, რომ მაჰმედ-ალი-შახის მომხრეებმა თავიანთი საქმე კარგად წაიყვანეს და დიდი საიდუმლოებით მოაწყეს.

— სპარსეთის მთავრობა დემოკრატებს შეურიგდა. ყველა გაძევებულ დემოკრატს დეპეშები გაუგზავნეს და სპარსეთს დაიბარეს, საერთო მტერს საერთო ძალით ვებრძოლოთო. დემოკრატებს მთავრობამ დაუთმო და მეთი მოჭიშვერეშერედ-დოულე, იუსტიციის მინისტრი, საფოსტო მინისტრად დანიშნეს, იუსტიციის სამინისტრო კი ლიბერალ კავამ-სალტანეს ჩააბარეს.

# რუსეთი

ამ დღეებში ფინანსთა მინისტრს კოკოვცევს წარუდგა სახაზინო ქაღალდების მკეთებელი მუშების წარმომადგენელნი. ისინი შუამდგომლობენ ექსპედეციასთან დაარსონ საპენსიო კასსა, შესცვალონ კანონები მუშათა დეპუტატებისა, ტეხნიკურ სკოლისა, ავადმყოფ მუშებისათვის სრუჯამაგირის მიცემისა და სხ. მინისტრმა განაცხადა, რომ ამისათვის დიდი თანხაა საჭირო და ხალხის ფული მას არ შეუძლია აგრე ფლანგოს. იმან მიუთითა საფრანგეთზე, იქ მუშების მდგომარეობა გაცილებით უარესიაო. დეპუტატებისაც უარი უთხრა და როდესაც მუშებმა განაცხადეს, ამიერიდან თქვენ გვაიძულებთ ისევ დაფარულ ჯურღმულში ვიმოქმედოთო, მინისტრმა მოუჭრა: „ჩაძვერით, თუ აგრე მოგწონთ"-ო.

— ვოსტორგოვი, როგორც ვიცით, დამარცხდა მიტროპოლიტ ვლადიმირთან და მისსიონერ აივაზოვთან ბრძოლაში. იგი სამსახურიდან დაითხოვეს და ამით მოსწყვიტეს მოსკოვს. მაგრამ „გავლენიანი" და „პირველ მინისტრის ნდობით აღჭურვილი" ვოსტორგოვი იმედს არ ჰკარგავს. იმას „უმორჩილესად" უთხოვნია დანიშნონ იგი, შტატს გარეშე, მოსკოვის სასინოდო კანტორაში, რომელიც არ ექვემდებარება მიტროპოლიტ ვლადიმირს. რას იტყვის უწ. სინოდი, ვინ იცის, მხოლოდ ჯერ-ჯერობით ვოსტორგოვის საქმე ცუდათაა.

აი „ბრძოლა უფლებისათვის!".

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 მკათათვე.

**საზღვარ-გარედ.**

**სტამბოლი**. ღამე პირველ საათსა 1 წუთზე სტამბოლში რამდენიმე ადგილას ერთ დროს ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა უბანი ფატისი და სომხების საყაჭროები. ცეცხლი ისევ მძვინვარებს. ჯერ დაიწვა 2 ათასი სახლი. ცეცხლმა მრავალი ადამიანი იმსხვერპლა. ხმა გავრცელდა, ცეცხლის დროს სამხედრო მინისტრი თავში ქვით დასჭრესო. დარწმუნებულნი არიან, რომ ცეცხლი განგებ წაუკიდა; ეხლა კონსტიტუციის წლის თავია. ზარალის გამორკვევა ჯერ შეუძლებელია.

**პორტ-ო-პრენსი**. რევოლიუციონერებმა გენერალ ტომას თავი მოჰკვეთეს. მთავრობის ყველა ჯარები პორტ-ო-პრენსში მოაგროვეს. კრუა-დე ბუკეში რევოლიუციონერები პრესვიტერების ეკლესიებსა და საფრანგეთის სკოლებს იცვენ.

**სტამბოლი**. გამოირკვა, რომ სტამბოლში ცეცხლი ხუთ-ადგილას დაიწყო, მერე კი ერთ დიდ კოცონად იქცა. ცეცხლის ადლებულმა ზოლმა 2000 სახლზე მეტი გაანადგურა. დაიწვა რამდენიმე მეჩეთი და სკოლა, ქარტკარის შენობები, სამხედრო შტაბი. შტაბის არხივის ერთი ნაწილი სამხედრო სამინისტროს შენობაში გადაიტანეს. ეს შენობა ცეცხლს გადაარჩინეს. ეჭვს გარეშეა, რომ ცეცხლი ძალადაა წაკიდებული.

**სტამბოლი**. საავენტოს კორესპონდენტმა ცეცხლ-წაკიდებული ადგილები დაათვალიერა. სახლები 16 კვადრატიული ვერსზეა დამწვარი. 50 ქუჩა მთლად დანგრეულია. 50 ათასი კაცი უსახლ-კაროდ დარჩა. რამდენი კაცი იმსხვერპლა ცეცხლმა ჯერ არა სჩანს. დღისით გალატაში ახალი ცეცხლი გაჩნდა. ქარს ცეცხლი სტამბოლისაკენ მიაქვს.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი**. დიუტკეს სოფლის ქარხანაში გასკდა ქვაბი. სამი კაცი მძიმედ დაიჭრა,

დაბრუნდა სტოლიპინი საზღვარ-გარეთიდან.

**კიევი**. საარქეოლოგიო კომისია შეუდგა დესიატინის საყდართან ნაშთის სიძველეთა შინჯვას, რომელიც ეკუთნის წმ. ვლადიმირის დროს.

**ეკატერინოდარი**. გაძარცვეს ლუკასოვის სანავთე კონტორა. დარაჯი დაჭრეს და 1000 მ. გაიტაცეს.

**ნიკოლაევსკი**. ქვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 24 კაცი, მოკვდა ამათგან 12. სულ ავად გახდა 90 და მოკვდა 27.

**მოსკოვი**. გამეუფუნებელ ინტენდანტების სასჯელი ძალაში შევა 18 ივლისს. ბევრს გაადაქვს საკასაციო საჩივარი. 27 კაცი არ გაანთავისუფლეს თავდებით, სხვები კი გაანთავისუფლეს დიდი სათავდებო თანხის ძალით.

# გამოსადეგი ცნობები

(წერილი რედ. მიმარ).

ტფილისის გაზ. „სახალხო გაზეთში" მეოთხე გვერდზედ იბეჭდება სხვა და სხვა სხვა ცნობებთა შორის **ნიხრი ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლისა, მეეტლებთან მოურიგებლად ქალაქს შიგნით.** ამით „სახალხო გაზეთის" რედაქცია სამსახურს უწევს როგორც ტფილისში მცხოვრებთ, ადრედვე სხვა ქალაქებიდან ჩამოსულთ მით, რომ აღარ მოტყუვდებიან მეეტლეებით დასაჩუქრებაში. არ იქნება ურიგო, რომ ქუთაისის გაზეთი „კოლხიდაც" შემოიღებდეს ასეთ ცნობების ბეჭდვას, საზოგადოების საყურადღებოდ, რომლითაც ხალხს ხშირად მეტლეებთან უსიამოვნებას ააცილებს. საზოგადოდ მეეტლების ბევრი სამდურავი ისმის და სამართლიანადაც, რადგან ისინი ნიხრს არა სჯერდებიან, მეტს თხოულობენ და თუ არ მიეცით, ასტეხენ ლანძღვა-გინებას და ერთ ალიაქოთს. თუმცა ქუთათურ მეტლეებს კოფოზე მიკრული აქვთ თუნუქის ნაჭერი, რომელზედაც ჩამოწერილია ნიხრი, მაგრამ წაკითხვა ყველას არ შეუძლიან, რადგან მეტად წვრილ ასოებითაა დაბეჭდილი. გაზეთის საშუალებით კი ყოველთვის შესაძლო იქნება ნიხრის დამახსოვნება.

ლადო ბზვანელი.

# თეატრი და ხელოვნება

**ცხინვალი**. სამი დღის განმავლობაში ცხინვალის სათეატრო დარბაზში ბ. კოტე მესხის დასის მიერ გამართულ იქმნა სამი წარმოდგენა: ა) სამშაბათს, 5 ივლისს, წარმოდგენილ იქმნა „მილიონების კვალ და კვალ" დრამა 3 მოქმედ. და დივერტისმენტი. ბ) ოთხშაბათს, 6 ივლისს, ქ. ნ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით დასდგეს „ტაინი სავეტნიკის სიზმარი", „ადვოკატთან" და დივერტისმენტი. წარმოდგენებმა კარგად ჩაიარა. კარგი იყო სალიტერატურო განყოფილებაც, სადაც ბ. ა. ახოსპირელმა, გრიშაშვილმა, მატარაძემ და ურუშაძემ ლექსები და სცენები წაიკითხეს.

უკანასკნელი წარმოდგენა 8 ივლისს გაიმართა. წარმოადგინეს „დაძმა". ამ ისტორიულმა დრამამ მშვენივრად ჩაიარა. სირცხვილია ცხინვალელებს, რომ წარმოდგენებს ნაკლებ ესწრებოდნენ.

ვარდაპეტი დავითიანცი.

### ჩვენი ფოსტა

**სამტრედია**. ვთხოვთ, ვინც იცოდეს, გვაცნობოს **დავით კობალეიშვილის** ნამდვილი ადრესი.

# გამოსადეგი ცნობა

**ნიხრი**

**ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა**

(მეეტლებთან მოურიგებლად).

| | | |
|---|---|---|
| 1. | ქალაქში ერთ ადგილამდე | 40 კ. |
| 2. | ქალაქიდან განაპირებში: ნავთლუხი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან | 70 „ |
| 3. | ვაგზლიდან ქალაქში | 70 „ |
| 4. | ვაგზლიდან განაპირებში | 1 მ. — |
| 5. | ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბეში | 40 „ |
| 6. | ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა ხაზაფლაღებამდე | 50 „ |
| 7. | მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან | 80 „ |
| 8. | ქალაქიდან ქალაქის ხამკურნალომდე ავლაბარში | 50 „ |
| 9. | ფუნიკულერის ხადგურამდე | 50 „ |
| 10. | იქიდან უკან დაბრუნება | 40 „ |

### მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

**ტფილისიდან გადის:**

1) **ბათუმისაკენ**: N I—III კლ. ჩქარი მატ. ხაღ. 10 ს. 10 ხუთზე. გორში ჩადის დამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში დამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) **ხაფოსტო** მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) **სახალხო მატ.** დღის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) **შერეული მატ.** № 107, მეოთხ. კლასით, გადის ხაღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამე 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

**ბაქოსაკენ**: 1) ხამგზავრო N 6. I—II. კლ. გადის დღის 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარამში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) ხაფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

3) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუად., 1 ს. 44 წ., ბალაჯარამში ხაღ. 10 ს. 2 წ.. ბაქოში ხაღ. 10 ს. 35 წ.

**შერეული** მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარამში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

**ბორჯომისაკენ**: 1) სახალხო მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) სახალხო მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის ხაღ. 7 ს. 30 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

1) ხაფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) **სამგზავრო და საქონლ.** N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან**: ჩქარი მატარ. პლატზ. N 1 I—III კლ. ხაღ. 9 ს. 26 წ. ხამგზავრო N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. ხაფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით ხაღ. 8 ს. 7 წ.

**ბათუმიდან**: ხამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშ ადღ. 1 ს. 56 წ., ხაფოსტო N 4, ხაღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

**ჯულფიდან**: ხაფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., ხამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ერევნიდან**: ხაზალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან**: ხამგზავრო N 7—8, დილ 6 ს. 20 წ., ხამგზ. N 9—10, ხაღ. 8 ს. 30 წ.

**ქუთაისიდან გადის:**

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათუმისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. ხაღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: ხახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. ხაღ., ჩქარი 5 ს. 15 წ, ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მორამნისაკენ: ხაზ. 5 ს. 6 წ. ხაღამ.

ტყიბულისაკენ: ხაზ. 3 ს. 28 წ. დღით. ხაზ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

**ქუთაისს მოდის:**

ტფილისიდან: ხაზ. 2 ს. 25 წ. ღამ., ხაფ 8 ს. 20 წ. ხაღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით

ბათუმიდან: ხაზ. 7 ს. 14 წ. დილ., ხაფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: ხაზალ. 7 ს. 14 წ. დღ., ხაფ. 3 ს. 25 წ. დღ., ხაზ. 10 ს. 21 წ. დილით

მორამნიდან: ხახალხო 9 ს. 49 წ. დილ.

ტყიბულიდან: ხაზ. 11 ს. 12 წ. დილით. ხახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. ხაღამოს.

**ტფილისიდან მცხეთაში:**

**სახალხო მატ.** N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის 4 ს. 3 ს. 26 წ.

**სახ. მატ.** № 77, I—III კლ. გადის დილ. 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

**მცხეთიდან ტფილისში:**

**სახ.** მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის ხაღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის ხაღ. 7 ს. 30 წ.

**შენიშვნები**: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილისბაქოვისლავლადკამდე, ზვერთაშლისხოხამილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე ხამგზავრო № 76—77, „მცხეთისა ხაგარაკო № 76, 77, 76ა, 77ა.

4) შერეული ხახალხო მატ. მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათუმს შუა ხაჭიროების მიხედვით ივლის.


# განცხადებანი

## დოქტ. ნაკასარდიანისა

უოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ო ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავახარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. ბ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუსლინი**: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ამეტიხიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი**. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინ. გან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგახარიძე**: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი**: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გიევსკაია-ენგელი**: 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი**: 6—7 ს. შინ. გან., ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავახარდიანი**.

(წ. (1168—80)

## გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი", „ზაკავკაზსკაია რეჩი", „ჰორიზონი", „სურანდაკი", „ხათაბალა", ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი) ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

## გორის მაზრის მემამულეთა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ აა ამხანაგობის ის წევრნი, რომელნიც ამ წლის **22 დეკემბრამდე** არ შემოიტანენ თავ-თავიანთ პაის დარჩენილ ნაწილს და არ შეავსებენ პაის სრულ რაოდენობამდე,—**გამორიცხულ იქმნებიან ამხანაგობის წევრობიდან.**

(1—1386—1)

**ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში**

## იყიდება შემდეგი წიგნები:

**ა რ ჩ ი ლ ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს ა**: „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი 75 კაპ.

**B â t o n-ისა**: „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით".—ფასი 1 მან. 20 კაპ.

**ვ. უ ი ფ ი ა ნ ი ს ა**: „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან"—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის" („Новая рѣчь") წიგნ. მაღაზიაში და **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

## სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

✦ **ახალ-ახალი** ✦

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა**

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია დვინის ორაგული** (სიომგა)

**მიიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა**

**გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე. წითელი ხიზილალა** (Кетовая). 60 კ. გირ.

და **ბელა-რიბიც 50 კ.**

აგრეთვე მიიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)


სტამბა „სორაპანი" მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**